არგუმენტირებული ესე ,,მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“

აღმზრდელის და აღსაზრდელის ურთიერთობაში მთავარი როლი არის ცოდნის, გამოცდილების და სულიერი ღირებულებების გადაცემა. აღმზრდელი ხელმძღვანელობს, სწორ გზას უჩვენებს და აღზრდის პროცესში ცდილობს, აღსაზრდელმა არა მხოლოდ იცოდეს, არამედ გააცნობიეროს ცხოვრებისეული ღირებულებები. აღსაზრდელი, თავის მხრივ, იღებს ცოდნას და მაგალითს, სწავლობს ზნეობრივ და ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც მომავალში ცხოვრების გზას განაპირობებს.

აღზრდის მთავარი ასპექტი სულხან-საბას შემოქმედებაში არის მორალური და ზნეობრივი განვითარების გაღრმავება. „სიბრძნე სიცრუეში“ პერსონაჟები გვიჩვენებენ მაგალითებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი სამართლიანად და კეთილგანწყობილად. აღმზრდელი კი უნდა იყოს გონიერი, ბრძენი და ფრიად განსწავლული პიროვნება. ადამიანის განსწავლა უპირატესად ბაძვა-მოსმენით ხდება. სწორედ ამ მეთოდს იყენებს ლეონი ჯუმბერის აღსაზრდელად. ლეონმა ჯუმბერი სამეფო კარს, ყველანაირ ფუფუნებას მოაშორა და მძიმე პირობებში აცხოვრა. დღედაღამ ფეხზე დგომით ჭაბუკმა მსახურთა გასაჭირი გაიცნო,შიმშილით გლახაკთა და მოსამსახურეთა გულისტკივილი შეისისხლხორცა, უცხენოდ და ფეხშიშველა სიარულით ბაზიერთა და შიკრიკთა მწუხარება გაიზიარა, არგანის სიმწრის საკუთარ თავზე გამოცდით მონების სატანჯველო გაიგო. ლეონის აზრით, აღზრდილის განსწავლულობა გამოკითხვით გამოიცდება, სწორედ ამ მიზნით მეფემ შვილი სასახლეში დაიბარა, მას თავდაპირველად ხელარგოსანი, შემდეგ დარბაზთუუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ვაზირი და მოლარე გაუგზავნა. ჯიმბერი არც ერთ მათგანს არ გამოყვა გარდა მოლარისა, რომელიც სხვებთან შედარებით უგვანია და არსაც არ მიიგზავნება. მეფის შეკითხვაზე თუ რატომ არ გამოყვა ჯუმბერი დიდებულებს და რატომ არჩია მოლარე, მან გონივრულად უპასუხა: "სხვატა თანა ეგე უგვანია და არც მიიგზავნება, თვარა ჩემთან მოლარის გამოგზავნა ხამს: მე ვარ შენი განძი , შენი საუნჯე, შსენი ლარი" მეფეს მოეწონა შვილის ასეთი პასუხი.

აკაკი წერეთლის ნაწარმოებში „გამზრდელი“ ჰაჯი უსუფი წარმოადგენს იდეალურ აღმზრდელს. ის არა მხოლოდ ბრძენი, არამედ დისციპლინირებული და სულიერად მდიდარი პიროვნებაა მისი 2 აღზრდილიდან ერთმა სიკეთის და პატიოსნების მხარე აირჩია მეორემ პირიქით. საფარ-ბეგი, ვერაგი, მორალურად გადაგვარებული ადამიანი იყო, ხალხის ტრადიციების უარმყოფელი, ძმობის შემლახავისაფარ-ბეგმა შელახა ძიძშვილის ოჯახის ტრადიციული სისპეტაკე, არ დაინდო, მისთვის თავგანწირული ძუძუმტე და ამით უმძიმესი სულიერი ტანჯვა მიაყენა მეგობარსაც და აღმზრდელსაც, მაგრამ საფარ-ბეგის უარყოფით თვისებებთან ერთად აკაკი წერეთელი მის ზოგ დადებით თვისებაზეც მიგვანიშნებს. ასე მაგალითად, ჩადენილი მძიმე შეცდომის შეგნებასა და მის შემდგომ სინდისის ძლიერ ქენჯნაზე, დარცხვენილი საფარ-ბეგი ძიძიშვილს ეუბნებოდა:

„ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,

მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,

მაზღვევინე, რაც შევცოდე,

სინდისი გამიმთელე...“,

საფარ-ბეგზე დადებითად იმოქმედა ძიძიშვილის მაღალზნეობრივმა საქციელმა. იგი მზად იყო სიცოცხლის ფასად გამოესყიდა თავისი დანაშაული. გამზრელს დაწვრილებით უამბო ყველაფერი და შემართული დამბაჩის მორჩილებით გულ-მკერდს უშვერდა.

ავტორის თქმით აღმზრდელი - ჰაჯი-უსუბი ცნობილი იყო თავისი ჭკუითა და გონებით. მას შეგნებული ჰქონდა თავისი მოვალეობის პასუხისმგებლობა. მას მრავალი თავადიშვილი ყავდა აღზრდილი და მათ უპირველეს ყოვლისა ზნეობრივ სიწმინდეს ასწავლიდა. მისი რწმენით აღმზრდელმა პასუხი უნდა აგოს თავისი აღზრდილის ქცევასა და მოქმედებისთვის. ამიტომაც იგი მუხლმოდრეკილსა და მკერდმიშვერილ საფარ-ბეგს ეუბნებოდა:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!

წარმოსთქვა და საფეთქელში

მიიჭედა ცხელი ტყვია!..

ჩაიკეტა სულთამბრძოლი,

წამლის კვამლში გაეხვია...“

ჰაჯი-უსუბი ზნეობრივი სისპეტაკის განსახიერება იყო. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული მოვალეობა და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

ადამიანის აღზრდაში აკაკი, მართალია, აღმზრდელის გადამწყვეტ როლს ანიჭებს, მაგრამ იქვე უმატებს;

„მაგრამ მარტო წრთვნა რას იზავს

თუ გუნებამაც არ უშველა?!“

ეს ნაწარმოებები გვასწავლის რომ აღზრდილი და აღმზრდელი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს რომ მხოლოდ აღაზრდა არაა მთავარი კაცობა მხოლოს სწავლით და აღზრდიტ არ მიიღწევა მას უნდა ჰქონდეს შინაგანი სამყარო.

აღზრდისა და განათლების პროცესში მთავარი არის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ სულიერი და ზნეობრივი განვითარება. აღმზრდელის როლი გადამწყვეტია პიროვნების ჩამოყალიბებაში — ის გზამკვლევია, რომელიც არა მხოლოდ ასწავლის, არამედ

მაგალითსაც აძლევს. თუმცა, აღმზრდელის ძალისხმევა მაშინ ხდება სრულფასოვანი, როცა აღსაზრდელიც საკუთარი ნებით ცდილობს სიკეთისა და ჭეშმარიტების გზაზე სვლას. როგორც სულხან-საბა და აკაკი წერეთელი გვიჩვენებენ, ზნეობრივი სიწმინდე და ადამიანის შინაგანი სულიერება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ჭეშმარიტი ადამიანობა მიიღწევა მაშინ, როდესაც სწავლა, აღზრდა და შინაგანი სულიერი წადილი ერთ მთლიანობად ერთიანდება.